

ხალხური სამკურნალო საშუალებები
(ლეჩხუმის ეთნოგრაფიული
მასალის მიხედვით)
FOLK REMEDIES
(ACCORDING TO LECHKHUMI
ETHNOGRAPHIC MATERIALS)

რამაზ ხაჩაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Ramaz Khachapuridze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Traditional folk medicine is an integral aspect of the original Georgian culture and a subject of study in ethnographic science. Identifying and studying folk remedies and magical practices are considered crucial for understanding the characteristics of Georgian spiritual culture.

Herbal remedies and minerals are utilized in creating home remedies based on ancestral knowledge in Lechkhumi, a Georgian region. Apparently, in the past, it was common for almost every family to know how to prepare herbal remedies.

Recipes for folk home remedies are the result of centuries of folk knowledge, observation of nature, and the work and exploration by specially gifted healers. Traditional medical culture is a widespread phenomenon in Georgia, taking into account regional characteristics and specificities.

While the population now mostly tends to seek qualified medical services, familial and ancestral cultural traditions retain their importance. Ethnographic research of folk medicine has identified numerous efficient remedies.

საკვანძო სიტყვები: ქართული ხალხური მედიცინა, მკურნალობის
ხალხური საშუალებები, ლეჩხუმის საგვარეულო მედიცინა.

Keywords: Georgian folk medicine, folk remedies, ancestral medicine of
Lechkhumi.

შესავალი

ტრადიციული ხალხური მედიცინა ქართველთა თვითმყოფადი კულტურის ნაწილია და ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს. ქართული სულიერი კულტურის დახასიათებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მკურნალობის ხალხური საშუალებების, მაგიური მეთოდების კვლევას.

ქართული ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის მიზანია საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო აზროვნებისა და სამკურნალო ცოდნა-გამოცდილების, ხალხური სამედიცინო ტრადიციების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის შესწავლა, მათი ბიოლოგიური და კულტურული ღირებულებების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს ქართველ ხალხში ყოფის, სულიერი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარის გაშუქებას (მინდაძე 2013: 3-4).

ქართული სამედიცინო კულტურა მდიდარი და მრავალფეროვანია. ზოგადად მას საინტერესოს ხდის გეოგრაფიულ გარემოსა და კლიმატთან მისადაგებული თავისებურებები.

ხალხური სამკურნალო საშუალებები, შინაური წამლის რეცეპტები მრავალსაუკუნოვანი ხალხური ცოდნის, ბუნებაზე დაკვირვების, სათანადო ნიჭით დაჯილდოებული მკურნალების გარჯისა და ძიების შედეგია. ტრადიციული სამედიცინო კულტურა ერთიანი ზოგად ქართული ფენომენია, კუთხური თავისებურებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით (კაშია 2015: 5-7).

წარმოდგენილ სტატიაში გავაანალიზებთ ლექსუმის სოფლებში ჩაწერილ მასალას. კულტურული ტრადიციებით მდიდარ მხარეში დღეს სავალალო მდგომარეობაა; სოფლები თითქმის დაცლილია მოსახლეობისაგან. სოფლის მცხოვრებთა ყოფაში ღრმადია შეჭრილი ურბანული პროცესები, ტრადიციული წეს-ჩვეულებები კი მივიწყებას ეძლევა.

მეთოდოლოგია

კვლევისას გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი: ა) ველზე მუშაობის მეთოდი, რომლიც ითვალისწინებს საკვლევ სოფლებში ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებას; ბ) ანალიზის მეთოდი, რომლის გამოყენებითაც გაანალიზებულია ჩვენ მიერ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ნაკურალეში, უცხერი, ცხუკუშერი, ღვირიში, ნასპერი, სანორჩი, აღვი) მოპოვებული მასალა; გ) შედარების მეთოდის საშუალებით ლექსუმურის მონაცემები შედარებული სხვა კუთხის მასალასთან.

მსჯელობა

ლექსუმში წინაპრებისგან მიღებული ცოდნის საფუძველზე ნასწავლი შინაური წამლების მოსამზადებლად იყენებენ ბალახეულ სამკურნალო საშუალებებს, როგორცაა: შავთავა, შავბალახა, კრაზანა, ხვართქლის ფურცლები, მაკიფია, ბოტბოტა, ბუზგურა, ღვალო, ბაია, ანწლი, კვახის გული, ძირმწარა, ბუზგურა, ვარდის ფურცელი, ბუწაულა, კალდაბარია, ქრისტესისხლა, წითელი სანდალი და სხვ.; სამკურნალო მინერალები: ქვეები, შაბი, გოგირდი, ძმარი; ცხოველური წარმოშობის ცხიმები და ა.შ. (სოსელია 1985: 173). ჩვენს მასალებში სამკურნალო მცენარეებიდან

აქტიურად გვხვდება: კრაზანა, ქრისტესისხლა, კალდაბარია, ბუწაულა, ხერხემალა.

მასალის მოძიების დროს მთხრობელებთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ თითქოს ყველა ოჯახმა (ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში) იცოდა შინაური სამკურნალო საშუალებების მომზადება გაციების, ანგინის, ყელის, ყურის ტკივილის დროს. მსუბუქ ფორმებს საშინაო პირობებში დღესაც მკურნალობენ და მხოლოდ გართულების შემთხვევაში მიმართავენ კვალიფიციურ სამედიცინო სამსახურს. ამ სწეულებათა სამკურნალოდ იყენებენ: ნიორს, თაფლს, არაყს, ძმარს, კომბოსტოს ფოთლებს, ინჰალაციურ მეთოდებს, ცაცხვის ნაყენს, ჟოლოს მურაბას, თხის ქონს და ა.შ.

ერთ-ერთი რესპონდენტი ასე აღწერს მკურნალობის მეთოდს: „ბავშვს თუ სიცხე ექნებოდა, ჩავაცვამდი ძმარიან ნასკებს. აგრეთვე თხის ქონს ჩაიში ვუსხამდით და შველოდა. ძველებური წიგნი მქონდა რაღაცა, კარაბადინის მსგავსი. ბრონქიტი მქონდა, ექიმმა ვერ მომარჩინა და გავაკეთე წამალი გადამდნარი ღორის ქონით, ვირისტერფა ბალახს უმახიან, ჟორტოფა ქვია, მრგვალი ბალახია ბუსუსებიანი. სამ ფურცელს დავასხამდი ერთ ჭიქა ზეთს, გადამდნარ ქონს დანის წვერით. ამ წამალს ვსვამდი ერთი თვის განმავლობაში“ (მთქმელი – იზო ნემსიწვერიძე).

საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის ლეჩხუმში, საუკუნეების განმავლობაში **ბატონებთან** დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და ავადმყოფის მოვლის რთული და ეფექტური სისტემა ჩამოყალიბებული, რომელიც უცვლელად ინარჩუნებს მკურნალობის ტრადიციულ საშუალებებსა და მეთოდებს.

ექსპედიციის დროს ჩავიწერეთ რამდენიმე უცნობი შინაური წამლის რეცეპტი, მათ შორის **ნაღმობისა** და **მოტეხილობის** სამკურნალო საშუალებები. მთხრობელის ნაამბობი: „ბებიაჩემმა იცოდა, გონია თორჟას ემახიან. ნიორივით ძირი აქვს, ერთ ყვავილს იკეთებს, დანაყავდა და დაადებდა მოტეხილზე. კვერცხის ცილაში ავლებდა და იმას ხმარობდა ნაღმობზე“.

მთხრობელი მოტეხილობის სამკურნალო საშუალებების გარდა საუბრობს, ასევე, კბილის ტკივილის მკურნალობაზე: „მეზობლად ერთი კაცი ცხოვრობდა, ომში ხელი დაკარგა, რომელიც ხელის ამოვარდნას, კბილის ამოღებას მკურნალობდა ყოველგვარი გაუმტკივარების გარეშე. კურნავდა სხვადასხვა ჭრილობებს. ბალახებით მკურნალობა იცოდნენ მანამდის. ეხლა უფროსმა ხალხმა და ჩვენ დროს დალაქები იყვნენ ყველაზე მეტი აქანა. კბილს ხო იღებდნენ და ხელი თუ გედრდობოდა, კვერცხის გული, მდოგვი, ბალახია სპეციალური თაბაშირის მაგივრად ხმარობდნენ, იმას დანაყავდნენ, დაჩეჩქავდნენ როდინში, მაგას წვენს გამოადენდნენ და შეგიხვევდნენ იმითი მაგრად ხელს და მერე მოგირჩებოდა, დაფიქსირებული იყო ხელი და მოტეხილობა შეხორცდებოდა. ერთი კაცი იყო, რომელსაც გამოთლილი ხე ჰქონდა მრგვლად და იქინა შეადებინებდა ამოვარდნილ ხელს, დაარტყამდა და ჩამდგარი იყო უკვე. გადმოცემით ვიცი ბებიაჩემიდან, ის დალაქები მოტეხილობებს, ტრამვებს კურნავდნენ. მე ორჯერ მქონდა ხელი მოტეხილი, ჩემთან თოვლი იცოდა ნამეტანი დიდი, ახალგაზრდები რო ვიყავით, მოქვტყდებოდა რაღაც და მივდიოდით სპირიდონასთან

(მკურნალის სახელია – რ.ხ.), კარგი კბილის ექიმი ყოფილა ამოდება შეეძლო სპეციალური გაზი თუ პლოსკო ჰქონდა თუ რაღაც... ოტკა იყო უფრო გაუმტკივარებისთვის. ომერია იყო ძალიან კარგი ექიმი მაგ ამბავში. ორბელიდან იყო კიდე, ნაკურალეუმების სიმე, კარგად მკურნალობდა“ (მთქმელი – ნოდარ სვანიძე).

ჩავიწერეთ მოტეხილობის შელოცვა. შელოცვის ტექსტი იმერეთში ჩაწერილი მასალის იდენტურია:

ადამ დეცა, ძვალმა რეესკას,
სამი დღის კრავმა მიწა დაღალა,
გორებული გორდებოდეს და
(სახელი) ნაღრძობი შორდებოდეს.

გამონაყარის სამკურნალოდ იყენებენ მრგვალ ფოთლებიან ბალახს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ტიტეცკას უწოდებს.

ჩავიწერეთ **სირსველის** სამკურნალო რეცეპტი, თუმცა ბალახის სახელი, სამწუხაროდ, აღარ ახსოვთ (შესახედავად ცნობენ): „არის ბალახი, რომელსაც ვალბობთ და სირსველი რო ექნება, ვუსვამთ ზედ. ასეთი ბალახები აქა-იქ იცის, ძნელად საპოვნელია, ღელე-ღელეებში იცის, ლეტიბაჩს რო ვამბობთ, იქაა უფრო მეტად“.

იმერეთში ჩაწერილი მასალასთან შედარებით ლექსუმურში სირსველის სამკურნალოდ იყენებენ შაბის, ნივრის, ღორის ქონის, ჭვარტლისა და კვაწარახის ნაზავს.

საინტერესოა კუჭის ტკივილის სამკურნალო საშუალება: „კუჭისთვის კიდე ერთი ბალახია, კრაზანას ვეძახით, უნდა გაახმო და როცა კუჭი გეტკინება უნდა დალიო, გამხმარ ფოთლებს ჩაყრი ცხელ წყალში და ფერს გამოიღებს თავისებურს. შემდეგ ჩაასხამ ჭურჭელში და დალევ. უნდა დალიო დილა-სადამოს“ (მთქმელი – ჯემალ ირემიძე).

დაავადებული **ნადველის** სამკურნალოდ იყენებენ ე.წ. დათვის ბალახის ნახარშს. შინაური წამლის დამზადების რეცეპტები, საოჯახო სამედიცინო პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში მემკვიდრეობით გადაეცემოდა. საოჯახო-საგვარეულო მედიცინა ისევ ინარჩუნებს სამედიცინო კულტურულ ტრადიციებს.

საგვარეულო ცოდნა ტრადიციული თვალსაზრისით დაცული იყო. გვარი უფრო ხილდებოდა რეცეპტს და ოჯახს შიგნით, თაობიდან თაობას გადასცემდა (რეცეპტს არ ასწავლიდნენ გათხოვილ ქალიშვილს). სამკურნალო საშუალებათა გასაიდუმლოებული ცოდნა განპირობებული იყო არა მხოლოდ „ეკონომიური საშუალებების, ცხოვრების სახსრის დაკარგვით“, არამედ საოჯახო-საგვარეულო სამედიცინო, კულტურული ტრადიციებით. აქტიურ სამედიცინო პრაქტიკას დღესაც აგრძელებენ გვარები: თურმანიძეები, ასკურავეები, პაჭკორიები, გაფრინდაშვილები, სულუხიები, ბოჭორიშვილები, უგრეხელიძეები; ლექსუმში – გიორგობიანები, კოპალიანები, თუთისანები და სხვა (ბურდული 2010: 268).

მკვლევარმა ლ. სოსელიამ თავის ნაშრომში ლექსუმის ეთნოგრაფიული მასალაზე დაყრდნობით შეისწავლა და გაგვაცნო სახალხო მკურნალი ეკატერინე გელოვანი-ჩარკვიანი (ცხოვრობდა და აქტიურ სამედიცინო პრაქტიკას ეწეოდა XX საუკუნის II ნახევარში ცაგერის მუნიციპალიტეტის

სოფელ გვესოში). სამკურნალო ცოდნა ეკატერინეს საგვარეულო გზით გადაეცა, ტრადიციული სამკურნალო საშუალებები და მკურნალობის მეთოდები შეასწავლა დედამთილმა, რომელსაც შეუსწავლია სოსა ბებიასაგან. მას სამედიცინო ცოდნა ძველი სამკურნალო კარაბადინებიდან მიუღია. სამკურნალო კარაბადინებში მოცემული სამკურნალო საშუალებების შეჯერებამ ხალხურ რეცეპტებთან გამოავლინა კავშირი და ურთიერთგავლენა. სწორედ აღნიშნულს ადასტურებს მკვლევარი ნ. მინდაძე, რომელიც აღნიშნავს: „არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ქართული ოფიციალური მედიცინის გავლენით დამკვიდრდა ხალხურ მედიცინაში ზოგიერთი სამკურნალო საშუალება“ (მინდაძე 2013: 53).

ლექსუმში კარგად იცოდნენ ერთ-ერთი ყველაზე რთულად სამკურნალო – თვალის დაავადებათა მკურნალობა: „თვალი რომ წითელი ქონდეს, ბინდი ეხურებოდეს. ბროწეულის ყვავილი, ქალის რძეში გალესე. თვალში ჩაუსვი დღეში ორჯერ, სამჯერ და მორჩება“ – ვკითხულობთ მკურნალის (ეკ. ჩარკვიანი) რეველში, სადაც მოცემულია, ასევე, ე.წ. „თვალის ფრჩხილის“ სამკურნალო მეთოდი და ა.შ.

სახალხო მკურნალები იცნობდნენ სამკურნალო ქვებს, ესენია: „გველის რქა, თეთრი ქვები, ფუფალა, აღმასი, გოგიორდი, შაბი, რევანდი და ა.შ. (სოსელია 1985: 171-174).

ქართული ხალხური სამედიცინო კულტურული მემკვიდრეობა ტრადიციულად აერთიანებს ბალახეულ, შინაური წამლებით მკურნალობას, ნატუროპათიასა და მაგიურ მედიცინას, მათ შორის შელოცვებს.

ლექსუმში მოსმენილი და ჩაწერილი შელოცვების ტექსტები, კერძოდ, ნათვალევის, მონადევის, შეშინებულის, შაკიკის, საწერელის, მორიელის, გველის ნაკბენის და ა.შ. თითქმის იდენტურია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი შელოცვის ტექსტებისაგან. განსხვავება მხოლოდ ნიუანსობრივი ხასიათისაა.

სამკურნალო შელოცვა რწმენას, ფსიქოლოგიურ ფაქტორს უკავშირდება. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც დამხმარე, განკურნების ხელშემწყობი მეთოდი.

დასკვნა

დღესდღეობით, როცა მოსახლეობა უმთავრესად კვალიფიციურ სამედიცინო სამსახურს მიმართავს, საოჯახო-საგვარეულო კულტურულ ტრადიციებს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კუთხით კვლევა მრავალ ეფექტურ სამკურნალო საშუალებას გამოავლენს. კვლევით დადგინდა, რომ: 1) ხალხური მედიცინის შესახებ ყველა ინფორმაცია უტყუარია, ვინაიდან იგი გამოცდილია დროით და ჩვენამდე მოსულია არაერთი ნიმუშით; 2) ხალხური მედიცინის ყველა მიღწევის საფუძველია საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატი, ბუნებრივი პირობები, ფლორის სიმდიდრე და სპეციალური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანთა მიება-გარჯა; 3) სახალხო მკურნალი წარმოადგენს არა კვალიფიციური მედიცინის კონკურენტს, არამედ მოკავშირეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბურდული 2010:** ბურდული მ., ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა. ახალციხე, 2010.
- კაშია 2015:** კაშია რ., ქართული ხალხური მედიცინის საკითხები. ქუთაისი, 2015.
- მინდაძე 2013:** მინდაძე რ., ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა. თბილისი, 2013.
- მუშკუდიანი 2016:** მუშკუდიანი ქ., ლეჩუმის ისტორიიდან. ქუთაისი, 2016.
- სოსელია 1985:** სოსელია ლ., მკურნალობის ხალხური ტრადიციები ლეჩუმში (მასალები ლეჩუმის ეთნოგრაფიული შესწავლისთვის). თბილისი, 1985.
- შავიანიძე 2005:** შავიანიძე დ., ოკრიბა. ქუთაისი, 2005.
- შავიანიძე... 2013:** შავიანიძე დ., კაშია რ., ხალხურ მკურნალობაში გადმოცემული ქართველთა თვითმყოფადი კულტურა და ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი. ჟურნალი „წელიწდეული“, V. ქუთაისი, 2013.